შემთხვევის ადგილის დათვალიერების თავისებურება

მკვლელობის საქმეებზე

ნინო გოგნიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2024.09.01.13

აბსტრაქტი

საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვასა და ჩატარებას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ტაპზე. საგამოძიებო მოქმედებებს შორის კი განსაკუთრებული ადგილი შემთხვევის ადგილის დათვალიერებას უკავია.

სწორედ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეტაპზე მოპოვებულ მტკიცებულებებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც გამოძიების სრულფასოვნად წარმართვის, შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის, ისე, მთლიანობაში სისხლის სამართლის საქმისა და იმ შედეგისთვის, რომელიც დადგება კონკრეტულ საქმეზე.

აღნიშნული საკითხის აქტუალობა განპირობებულია პრაქტიკაში არსებული უამრავი პრობლემით, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად ხდება საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლების მომზადება-გადამზადება, თანამედროვე მიღწევების გაცნობა და არსებული მიდგომების დახვეწა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომლის გამოყენებაც მისცემს

საგამოძიებო ორგანოებს შესაძლებლობას, მიიღოს მაქსიმალური შედეგი ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე.

ნაშრომში განხილულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა და როლი დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის საქმეში. ასევე, მოცემულია ის თავისებურებები, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული კატეგორიის შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთვის.

საკვანძო სიტყვები: დათვალიერება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მკვლელობის ადგილის დათვალიერება.

Peculiarities of viewing the scene of the accident on murder cases

Nino Gogniashvili, Associate professor

David Agmashenebeli University of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Proper planning and conducting of investigative actions is of great importance in the process of investigating all categories of criminal cases and establishing the factual circumstances of the case. Inspection of the accident site has a special place among investigative activities.

It is the evidence obtained at the stage of inspection of the scene of the accident that is of decisive importance for the full conduct of the investigation, the planning of further measures, as well as for the criminal case as a whole and for the outcome of a specific case.

The relevance of the mentioned issue is due to numerous problems in practice, since, despite the constant training and retraining of the employees of investigative bodies, familiarization with modern achievements and refinement of existing approaches, the quality of conducting

investigative actions still does not correspond to the standards, the use of which will give the opportunity to investigative bodies, to obtain maximum results in all categories of criminal cases.

The paper discusses the importance and role of crime scene inspection in crime investigation and solving. Also, the features, which are characteristic of a separate category of the accident site inspection, are given.

Keywords: inspection, inspection of the scene of the accident, Viewing the scene of the murder.

შესავალი

საგამოძიებო მოქმედებებს შორის, ერთ - ერთი გამორჩეული ადგილი დათვალიერებას უკავია, რომელიც სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებისგან მკვეთრად განსხვავდება თავისი მრავალფეროვნებით, მნიშვნელობითა და სახეებით. მისი მიზანი, დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა (მაგ: თითის ანაბეჭდები, სისხლის კვალი, თმის, სატრანსპორტო საშუალების, ფეხის კვალი და ა.შ.), შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა გამოკვლევაა.

დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით დათვალიერებაში შეიძლება მონაწილეობდეს: საექსპერტო - კრიმინალისტიკური სამსახური, სასამართლო - სამედიცინო ექსპერტი, სახანძრო - ტექნიკური ექსპერტი, კინოლოგიური სამსახური (როდესაც საჭიროა ცხელ კვალზე მიდევნება, სუნის კვალის ამოღება), სასწრაფო - სამედიცინო სამსახური, სამაშველო სამსახური, გამნაღმველები. დათვალიერების მიზნის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია მისი დაუყოვნებლივ ჩატარება, რათა არ მოხდეს კვალის დაზიანება და განადგურება.

აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნის ეფექტურ საშუალებას. ჩატარების შედეგებს კი მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, დათვალიერების ოქმს და აღმოჩენილ ნივთებს, რომლებიც შეიძლება აღიარებული იქნენ ნივთიერ მტკიცებულებებად. ორივე გარემოება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთ-ერთის არ არსებობა კი იწვევს მეორის მტკიცებულებითი მნიშვნელობის დაკარგვას. მაგრამ როგორც ოქმი, ასევე ნივთიერი მტკიცებულებები შეიძლება გახდნენ დასაშვები მტკიცებულებები, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება მათი შედეგების ფიქსაცია კანონმდებლობის საფუძველზე.

დათვალიერების სახეებს შორის, ყველაზე გავრცელებული, პირველადი და გადაუდებელი მოქმედება, რომელიც თითქმის ყველა კატეგორიის საქმეზე ერთ-ერთ ყველაზე გადამწყვეტ როლს თამაშობს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებაა.

1.შემთხვევის ადგილის დათვალიერება

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ყველაზე გავრცელებული და ამავდროულად ყველაზე რთული საგამოძიებო მოქმედებაა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ყველაზე სრულყოფილი განმარტება პირველად ა.ვინბერგმა მოგვცა, რომლის თანახმად, ,,შემთხვევის ადგილის დათვალიერება ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც მიმართულია დანაშაულის მექანიზმის შესწავლის, დანაშაულებრივი ქმედების გარემოების გამოვლენის, დანაშაულის კვალის ფიქსაციის, შემდგომი შესწავლისა და დამაგრებისთვის, ასევე, ცალკეული სახის ობიექტების, საგნების, დოკუმენტებისა და სხვა, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების გამოვლენის მიზნით, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით.''(1)

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთ-ერთი შეუცვლელი, პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიების ეტაპზეც. დათვალიერების წესსა და პირობებს

განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა (სსსკ 125-128მუხ.). (2)

ამასთან ერთად შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, ასეთი კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით გარკვეული თავისუბურება გააჩნია - გარემოებებისა და სიკვდილის მიზეზის გათვალისწინებით.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარისხი ყოველთვის ვერ პასუხობს წარდგენილ მოთხოვნებს. ასე, რომ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც გამომძიებლები სათანადოდ ვერ აფასებენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობას, ამ დროს საგამოძიებო მოქმედება ტარდება ზედაპირულად და გარკვეულ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობის დარღვევითაც. აღნიშნული კატეგორიის საქმეების წარმატებულად გახსნის მიზნით, ასევე ტიპიური შეცდომების თავიდან აცილებისთვის, აუცილებელია საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს სწორად და მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ორგანიზება და ჩატარება.

ამიტომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა დავყოთ **3** ეტაპად: მოსამზადებელ, სამუშაო და დასკვნით ეტაპებად. ასეთი სახის დაყოფა ხელს უწყობს გამომძიებლის მოქმედების სისტემატიზირებას შემთხვევის ადგილზე მისი თანმიმდევრულობით, უზრუნველყოფს დათვალიერების ხარისხსსა და ეფექტურობას. (3) როგორც წესი, ნებისმიერი დათვალიერებისთვის, მისი სახეობისა და სირთულის მიუხედავად, აუცილებელია სათანადოდ მომზადება. მომზადების პროცესი თავის მხრივ იყოფა ორ სტადიად: პირველ სტადიაში შედის მოსამზადებელი ღონისძიებები შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, მეორეში კი შედის მოსამზადებელი ღონისძიება, უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მისვლისას. (4)

შემთხვევის ადგილზე მისვლამდე გამომძიებელი პირველ რიგში არკვევს გარემოებებს რომელიც დაკავშირებულია შემთხვევის ადგილზე მყოფ სამართალდამცავი

ორგანოების თანამშრომლებთან, სამედიცინო დარგის მუშაკებთან და სხვა პირებთან. ადგენენ რა იყო შეცვლილი შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო ჯგუფის მისვლამდე, ასევე, აყენებენ სწორ ვერსიებს მკვლელობისა და იმ პირის შესახებ, რომელმაც იგი ჩაიდინა. განსაზღვრავს რა სახის კვლები და საგნები ექვემდებარება დაძებნას და ფიქსირებას. ამის შემდეგ იგი აძლევს მითითებას თანამშრომლებს მოძიებული იქნეს დამატებითი ინფორმაცია შემთხვევის შესახებ, რომელიც აუცილებელია დაზარალებულის, მკვლელობის მოწმეებისა და იმ პირების შესახებ, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და მოხდეს მათი დაკავება ცხელ კვალზე. ასევე, მოკლულის პიროვნების დადგენა და ა.შ. გამომძიებელი ვალდებულია განსაზღვროს მკვლელობის ადგილის ფარგლები, განარიდოს ადგილიდან გარეშე პირები, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს შემთხვევის ადგილის დაცვა და შემოსაზღვრა. თუ შემთხვევის ადგილს წარმოადგენს ღია სივრცე, ამ შემთხვევაში ასევე უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ დაიცვას საგნები და კვლები, რომლებიც შეიძლება განადგურდეს ან შეიძლება დაიფაროს, მაგალითად ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე (ქარი, წვიმა, თოვლი და ა.შ.).

შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდგომ კი გამომძიებელმა, როგორც საგამოძიებო მოქმედების ძირითადმა სუბიექტმა უნდა განახორციელოს შემდეგი სახის მოქმედებები:

1. შეამოწმოს შემთხვევის ადგილზე გასვლამდე - მის მიერ გაკეთებული მითითებების შესრულება; 2. მოისმინოს ინფორმაცია იმ პირებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ შემთხვევის ადგილის დაცვას; 3. მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზომები - სხვა რაიმე მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად; 4. განსაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები; 5.განსაზღვროს შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა (კვალთა და სხვა ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების თანმიმდევრობა); 6. განუმარტოს უფლებები და მოვალეობები მონაწილე

პირებს; 7. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევის ადგილზე არსებულ ნეგატიურ კვალსა და გარემოებებს. (5)(6)

აუცილებლობიდან გამომდინარე ერთდროულად ჩასატარებელი სხვადასხვა სახის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების გამო იქმნება საგამოძიებო ჯგუფი რამდენიმე გამომძიებლისგან.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად ნებისმიერი შეუსაბამობა მოწმეთა ჩვენებებსა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს შორის, წარმოადგენს იმის საბაბს, რომ ეს უკანასკნელი დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი. ამასთან დაკავშირებით რეკომენდირებულია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებამდე ზედმიწევნით მოხდეს მოწმეთა პიროვნების შემოწმება - იმ ძირითად მოთხოვნებთან, რომელიც მათ წაეყენებათ.

მკვლელობის შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას საჭიროა მაქსიმალურად სრულად აღიწეროს ვითარება და ობიექტები, რომლებიც იმყოფება შემთხვევის ადგილზე, ისე, რომ არ მოხდეს მათი დამოკიდებულება, შემხებლობა (კავშირი) გამოძიებასთან. დათვალიერებას უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ შენობა (ადგილმდებარეობის ნაწილი), სადაც გვამი არის აღმოჩენილი, არამედ მისი მიმდებარე შენობები და ტერიტორიებიც. შემთხვევის ადგილის დეტალურად დათვალიერების შედეგები იძლევა შესაძლებლობას, მივიღოთ ინფორმაცია დროის, საშუალების, დანაშაულის ჩადენის მოტივის, პირთა რაოდენობის, მისი ჩამდენი პირის, მათი მოსვლისა და წასვლის, გვამის გადაადგილებისა და მასზე მიყენებული დაზიანების მიზეზების და სხვა გარემოებების შესახებ, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისთვის. (7)

ამასთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში უნდა აისახოს ყველა სახის მონაცემები, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დროის შესახებ ინფორმაცია.

იმისათვის, რომ იქნეს დადგენილი მკვლელობის დრო, უნდა შემოწმდეს საოჯახო საგნები (გამათბობელი, ჭურჭელი, ჩაიდანში წყალი და ა.შ.) გამომშრალი, გაფუჭებული ან ახალი პროდუქტის ნარჩენები, გაჩერებული საათი გვამის ხელზე, კალენდარზე არსებული აღნიშვნა და ა.შ.

შემდეგი გარემოება იმ პირთა რიცხვის დადგენაა, რომლებიც იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე დანაშაულის ჩადენისას. აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ხელისა და ფეხის კვლებს, მაგიდაზე დარჩენილი თეფშების რაოდენობას, სიგარეტის ნამწვავებს, მათ რაოდენობას, ასევე სხვა სახის კვლებს, მაგალითად ტუჩსაცხის კვალს და ა.შ. რათა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას დანაშაულის მოტივის შესახებ. მაგალითად, კარადის ღია კარს, გამოწეულ ყუთებს, უჯრებს, რომლებიც მიუთითებენ ასევე საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე. ასევე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ გარემოებებზე, რომელიც მიუთითებს გვამზე არსებულ დაზიანებებზე, თუნდაც იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა სქესობრივ დანაშაულს - მაგალითად სქესობრივი ლტოლვის დასაკმაყოფილებლად, ან შურისძიების ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს. ასევე, მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩამდენი პირის ნიშან-თვისებების შესახებ, ტანისამოსის ან მისი ნაწილების შესახებ ინფორმაცია, ის რაც არ მიეკუთვნება გარდაცვლილს, ზომა და ხელისა და ფეხის კვალის თავისებურებები რომლითაც შესაძლოა ასევე ვიმსჯელოთ დაახლოებით ასაკზე, სიმაღლეზე, დამნაშავის სიარულის მანერაზე, ასევე მის სქესობრივ კუთვნილებაზე. გარკვეულ შემთხვევებში დაზარალებულის ამოცნობის შეუძლებლობა მისი დამახინჯების გამო შეიძლება მოწმობდეს იმაზე, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო დაზარალებულის ნათესავის, ახლობელის მიერ, ხოლო მისი დამახინჯება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ დამნაშავე ცდილობდა პასუხისმგებლობის მაქსიმალურად თავიდან აცილებას.

დანაშაულის ჩადენის ადგილის შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე - არის თუ არა სისხლის კვალი გვამის აღმოჩენის ადგილზე - არის თუ არა გვამზე

ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები. მოპოვებული ინფორმაციით კი დგინდება ის გარემოება, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს დანაშაულის ადგილი და გვამის აღმოჩენის ადგილი.

ამ კუთხით, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახის ტაქტიკური ხერხები შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას: პირველადი ინფორმაციისა და შემთხვევის ადგილის გარემოებების შედარება დანაშაულის კვალის აღმოჩენის მიზნით, ცალკეული სახის კვლების შეფასება შემთხვევის ადგილზე, მომხდარი შემთხვევის მოდელირება მოვლენის ცალკეული ელემენტების აზრობრივი რეკონსტრუქცია და ა.შ. (8)

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ბოლო ეტაპი მოიცავს შემთხვევის ადგილზე არსებული კვლების ამოღებას, ასევე სხვადასხვა სახის ნივთიერი მტკიცებულებების ამოღებას შესაბამისი სპეციალისტების მიერ. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეტაპზე - გამომძიებელი ვალდებულია მოიწვიოს ყველა კატეგორიის ექსპერტი, მათ შორის სასამართლო - სამედიცინო ექსპერტი, ექსპერტ-კრიმინალისტი, ცალკეულ შემთხვევაში კი კინოლოგიც. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შემთხვევის ადგილის ფოტო და ვიდეოგადაღება. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მნიშვნელოვანია შედგეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების სქემა, რომელიც თან დაერთვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს - მკვლელობის ადგილის სრული სურათის აღსადგენად. (9)

ჩამოთვლილი ღონისძიებები არ არის ამომწურავი. ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია და გამომძიებელიც ამ გარემოებებიდან გამომდინარე არის ვალდებული განსაზღვროს თითოეული მოქმედება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეფექტურობის ამაღლება ყველა დროში აქტუალურია და ის დამოკიდებულია გამომძიებლისა და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პირების პროფესიონალიზმზე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე არის

შემთხვევის ადგილის დათვალიერება მუდმივად, მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა ყურადღების ცენტრში. (10)

შემთხვევის ადგილის დათვალიერების უარყოფითი მხარეები აიხსნება ჩამტარებელი პირების დაბალი კვალიფიკაციით. იმისდა მიუხედავად, რომ მუდმივად ხდება სამძებრო -საგამოძიებო არსენალის სრულყოფა, გამომძიებლების მუდმივი მომზადება და გადამზადება, მაინც პრობლემურია შემთხვევის ადგილის სრულფასოვანი დათვალიერება. ამაზე მეტყველებს სწავლული კრიმინალისტების კვლევები, ასევე მონაცემები, რომელსაც მოიცავს საგამოძიებო ორგანოების სახელმძღვანელო დოკუმენტები.

შემდეგი პრეტენზია, რომელიც შეიძლება წავუყენოთ შემთხვევის ადგილის არასრულყოფილ დათვალიერებას, ეს არის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მიღებული (მოპოვებული) ინფორმაციის არასრულფასოვანი გამოყენება.

ერთი მხრივ, ეს აიხსნება საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობის გაზრდითა და სირთულით, რომელიც გამოწვეულია დანაშაულის ჩადენის საშუალებისა და დანაშაულის დაფარვის საშუალებების მრავალფეროვნებით. სხვა მხრივ კი, გამომძიებლების მიერ თანამედროვე მეცნიერებაში შემუშავებული საშუალებებისა და მეთოდების პოტენციალის გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში არ შეესაბამება სამართალ-გამოყენებითი პრაქტიკის მოთხოვნებს.

პრობლემების მოგვარების აუცილებელ პირობას, რომელიც გავლენას ახდენს შემთხვევის ადგილის დათვალიერების სისრულესა და ხარისხზე - მკვლელობის გახსნისას, წარმოადგენს გამომძიებლის პიროვნული პოტენციალის ზრდა. ამასთან, შემოთავაზებული გზები რომელიც ხელს უწყობს პროფესიონალიზმის ამაღლებას, შეიძლება იყოს შემდეგი:

1. სპეციალური ცოდნის დონის ამაღლება და სიახლეების გაცნობა, რომელიც უკავშირდება მკვლელობების კუთხით გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლებას.
2. იმ გამომძიებლებისთვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების დავალებას, რომლებიც ფლობენ ასეთი კატეგორიის დანაშაულის გამოძიების სათანადო უნარებს.
3. პრაქტიკაში სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების გამოყენება, რომელიც იძლევა ახალ შესაძლებლობებს გამოძიების ხარისხის ეფექტურობის ასამაღლებლად.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ხარისხი დამოკიდებულია მასში მონაწილე პირებზე, პირველ რიგში სასამართლო სამედიცინო ექსპერტსა და კრიმინალისტებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, საგამოძიებო პრაქტიკის კიდევ ერთ, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, შესაბამისი სპეციალისტების არადროული მონაწილეობაა.

გარდა ამისა, ზოგიერთი ოპერატიული თანამშრომელი და გამომძიებელი ჯერ კიდევ სუსტად ფლობენ დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის საშუალებებს - დანაშაულის დაფარვის ხერხების გამოსავლენად, არ აქცევენ ყურადღებას იმას, რამდენად საჭიროა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მათი გამოყენება. ამასთან ერთად დამნაშავეები, როგორც წესი იღებენ ზომებს იმისათვის, რომ არ დატოვონ კვალი დანაშაულის ადგილზე, ანადგურებენ მათ, ასევე დანაშაულის ჩადენის იარაღებს. მკვლელობის გასახსნელად საჭირო სამუშაოს ხარისხის შესაფასებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალიზმი და გამომძიებლის გონიერება, ასევე იმ პირების გონიერება, რომლებიც ეხმარებიან და მონაწილეობენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის დროულად და სწორად ჩატარებაზე არის დამოკიდებული საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დათვალიერების დროს აუცილებელია დაეთმოს შესაბამისი დრო დანაშაულის ჩადენის ხერხებს, ასევე, არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს იმ ობიექტებს, რომლებიც იმყოფებიან შემთხვევის ადგილზე, ხოლო მისი დასრულების შემდეგ ოქმის შედგენის შემდგომ შემოწმდეს მისი ჩატარების ხარისხი. არაერთი დანაშაული გაუხსნელი რჩება იმის გამო, რომ ბევრი თანამშრომელი არღვევს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და იმ ტაქტიკურ რეკომენდაციებს, რომელიც დადგენილია კრიმინალისტიკით.

შემთხვევის ადგილის ხარისხიანი დათვალიერება მკვლელობის საქმეებზე, გამომძიებელს აძლევს შესაძლებლობას, გადაწყვიტოს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა შორისაა:

- მკვლელობის სრული სურათის აღდგენა;
- დანაშაულის ჩამდენი პირისა და ქმედების მოტივის დადგენა, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულების გახსნასა და დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტას.

ლიტერატურა

1. Винберг А. И., Криминалистика., Винберг А. И. Шавер Б., - М., Госюриздат.,1950., 304 с.
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=162., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

3. Алимурадов Г. Б., Особенности осмотра места происшествия при расследовании убийств., изд. Наука., 2019., 121-130с.
4. გოგნიაშვილი ნ., კრიმინალისტიკა, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, ტესტებით, კაზუსებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით., თბ.,2021წ.
5. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო., ავტ.კოლ. თბ. 2017., 134გვ.
6. Луви А. А., Осмотр места происшествия справочник следователя., изд. 2-е., 1982., с. 272.
7. Дворкин А. М., Методика расследования убийств., изд.Инфра., М. 2001., 96 с.
8. Шалудченко В. И., Проблемные вопросы технико-криминалистического обеспечения расследования убийств., Краснодар., 2012., 214 с.
9. Дворкин А.М.,Методика расследования убийств., М. ИНФРА-М., 2001., 96с.
10. Шелудченко В.И., Проблемние вопросы технико-криминалистического обеспечения расследования убийств., Дис. Канд. Юрид. Наук., 12. 00. 09., Краснодар., 2012., 214с. გოგნიაშვილი ნ., კრიმინალისტიკა., თბ. 2021წ. გვ.68.